წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ამ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს 10—58, მთ. კანტორის —8—41.

პარასკევი, 3 თებერვალი 1933 წ. № 28 (3584)


# ხარისხობრივ მაჩვენებლებს — განსაკუთრებული ყურადღება

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში საქართველოს მრეწველობამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა. მთელმა რიგმა საწარმოებმა ხუთწლიანი გეგმა 4 წელზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს ასეთია მაგალითად კალინინის სახელობის ქარხანა, სარემონტო ქარხანა, ორ-...

...ლოგიური პროცესების სწორად ჩატარებას და სხვ.

წუნს დიდი ადგილი უჭირავს თბილისის მაუდ - კამვოლის ფაბრიკის პროდუქციაშიც. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს წუნი, შემცირების ნაცვლად, თანდათან იზრდებოდა. თუ 1932 წლის ...

...ტექნიკურ კონტროლს დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. იქ, სადაც ტექნიკური კონტროლი სათანადო სიმაღლეზე სდგას, ეფექტიც დიდია. ასეთია, მაგალითად, კალინინის სახელობის ქარხანა, სადაც ტექნიკური კონტროლის თავის სიმაღლეზე დაყენების გამო იშვიათი მოვლენაა სტანდარტების დარღვევა; ქარხანა დიდ ყურადღებას აქცევს გამზადებული პროდუქციის შესაფერისად მოვლას, ტექნო-...

...ბას აძლევს ყველა სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს 1933 წელს მთავარი ყურადღება მიაქციონ დავალებების მთლიანად შესრულებას შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების ხაზით, რომელთა განხორციელების დონე პირველ ყოვლისა მიღებულ იქნება მხედველობაში თვითეულ საწარმოს და ტრესტის მუშაობის შეფასების დროს".

# დაითხოვეს გერმანიის რეიხსტაგი

## გააფთრებული იერიშები კომპარტიის წინააღმდეგ

### ჰინდენბურგის დეკრეტი რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ

ბერლინი, 1 თებერვალი. მთავრობის პრესის განყოფილებამ უცხოეთის პრესის წარმომადგენლების მიღების დროს ამ ნიშნული განყოფილების გამგემ ფუნკმა განაცხადა, რომ დღეს ჰინდენბურგმა მიიღო კანცლერი ჰიტლერი და ვიცე-კანცლერი პაპენი, რომელთაც მას გაუკეთეს მოხსენებანი ცენტრის პარტიასთან მათ მიერ წარმოებული მოლაპარაკების შესახებ. ამ მოხსენებათა საფუძველზე ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა დეკრეტს რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ. ჰინდენბურგი დეკრეტში აღნიშნავს, რომ ითხოვს რეიხსტაგს, რათა „გერმანიის ხალხს შეეძლოს გამოაშკარავოს" ახალი არჩევნების დროს თავისი დამოკიდებულება ნაციონალური კონცენტრაციის მთავრობისადმი". დღესვე ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა დეკრეტს ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ 5 მარტისათვის. ამის შემდეგ შედგა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც დამტკიცებულ იქნა ყველა მოქალაქეებისადმი მთავრობის მიმართვის ტექსტი.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რას მოელის მთავრობა ახალი არჩევნებისაგან, ფუნკმა განაცხადა: მთავრობა რომ დარწმუნებული არ იყოს „ახლანდელი მთავრობაში წარმოდგენილი პარტიების ხმების უდიდეს ზრდაში, იგი არ დაითხოვდა რეიხსტაგს და არ დანიშნავდა ახალ არჩევნებს".

გარდა ამისა, ფუნკმა, განაცხადა: მთავრობა ფიქრობს ხომ 5 მარტს მოხდება აგრეთვე პრუსიის ლანდტაგის არჩევნები. ფუნკმა აღნიშნა რომ, თუ ლანდტაგი ხმების უმრავლესობით არ მიიღებს ნაციონალ - სოციალისტების წინადადებას ლანდტაგის დათხოვნის შესახებ, მთავრობა იძულებული იქნება განიხილოს ლანდტაგის დათხოვნის სხვა შესაძლებლობანი და ახალი არჩევნების დანიშვნის საკითხი.

შეკითხვაზე, აქვს თუ არა მთავრობას განზრახული აკრძალოს კომპარტია, ფუნკმა განაცხადა: „ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე ერთი სიტყვაც კი არ თქმულა". (ადს).

...ლობას პრესასთან ვინაიდან თუ პრესა შეეცდება არა საქმიანი გზით გააძნელოს კაბინეტის საქმიანი მუშაობა, ეს გამოიწვევს პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებას.

შემდეგ ფრიკმა განაცხადა, რომ ახალ კაბინეტს დიდ მნიშვნელოვნად მიაჩნია აზრის თავისუფლად გამოთქმა" და, რომ სრულებითაც არ ფიქრობს იმოქმედოს პრესის მიმართ კონსტიტუციის მე—48 პარაგრაფის გამოყენების მეთოდებით.

შემდეგ ფრიკმა განაცხადა, რომ მთავრობას „არ აქვს განზრახული აკრძალოს მთელი კომუნისტური პარტია".

ნაციონალურ სოციალისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში „ფოლკიშერ ბეობახტერ" მოთავსებულია ინტერვიუ ფრიკთან. შეკითხვაზე თუ რა განსაკუთრებულ ზომების გამოყენებას ფიქრობს მთავრობა კომპარტიის წინააღმდეგ, ფრიკმა განაცხადა:

„ჯერჯერობით მე ამ მიმართულებით კიდევ არავითარი ზომებს არ მივიღებ. მართალია მე ვიცი, რომ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ზოგიერთი კომუნისტები ავრცელებდნენ მოწოდებებს გენერალურ გაფიცვისაკენ „თუ გერმანიის კომპარტია-განაცხადა ფრიკმა-მომავალშიაც ამ მიმართულებით განაგრძობს მოქმედებას, ჩვენ გამოვალთ ასეთი გენერალური გაფიცვის წინააღმდეგ და მივმართავთ უმკაცრეს ზომებს".

შეკითხვაზე თუ რას იზამს მთავრობა. რეიხსტაგის უმრავლესობა რომ მის წინააღმდეგ წავიდეს ფრიკმა გაიაცხადა, რომ ეს საკითხი მთავრობისათვის წინასწარ გადაწყვეტილია და, რომ ის არ სთვლის საჭიროდ ამჟამად ილაპარაკოს ამის შესახებ (ადს).

# ფაშიზმის იერიშები კომპარტიის წინააღმდეგ

### მზადდება ახალი დეკრეტები

ბერლინი, 1 თებერვალი. „როტე ფანე"-ს სისწრაფით გამოცემა იუწყება, რომ მთავრობა დღეს გამოსცემს ეგრედწოდებულ „კანონს ტერორის წინააღმდეგ", რომელიც მიმართულია კომპარტიის წინააღმდეგ. გარდა ამისა გაზეთი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნაციონალ-სოციალისტ ფრიკმა რადიოგრამით გასცა ბრძანება აიკრძალოს მთელ გერმანიაში ყველა კომუნისტური გამოსვლები, მიტინგები და დემონსტრაციები ცის ქვეშ. ლუსტ მარტინში კომპარტიის მიერ ზეგისთვის დანიშნული დემონსტრაცია აკრძალეს. კიერისთვის დანიშნული სოციალ-დემოკრატიული დემონსტრაცია არ აკრძალავთ (ადს).

### აკრძალეს მთელი რიგი კომუნისტური გაზეთები

ბერლინი, 1 თებერვალი. ბრესლავლის პოლიციის უფროსმა ტაისმა აკრძალა ყველა კრებები და დემონსტრაციები, რომლებსაც იწვევენ კომპარტია, კომკავშირი და მუშათა საერთაშორისო დახმარება ...

### გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება.

ბერლინის, 31 იანვარი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ფრიკმა გერმანიის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ურთიერთობაზე ... თანამშრომ...

# უცხოეთის პრესის გამოხმაურება ჰიტლერის მთავრობის შესახებ

### საფრანგეთი

პარიზი, 1 თებერვალი საფრანგეთის პრესა სხვადასხვა ნაირად ეხმაურება ჰიტლერის მთავრობის შედგენას გერმანიაში.

1. გაზეთები მთავარ ყურადღებას აქცევენ ჰიტლერის საშინაო პოლიტიკის პერსპექტივებს და მხოლოდ რამდენიმე საერთო ფრაზებით ეხებიან საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

გაზეთ „რესპუბლიკი"-ს სიტყვებით, გერმანიის გუშინდელი ამბები მოწმობს, რომ დაიშალა მემარჯვენე პარტიების მთლიანი ფრონტი, თუნდაც იმიტომ, რომ გაზეთ დარჩა შლეიხერი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს რეიხსვერზე (ადს).

### შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ი მიუთითებს, რომ გერმანიაში ...

...რომ გერმანიის მუშათა კლასმა ხელისუფლება ჰიტლერს და იგი უიმედოდ ცდილობს შეაჩეროს რევოლუციური მოძრაობა. გაზეთის სიტყვით ჰიტლერს გზა გაუკაფა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ.

„დეილი ორკერ"-ი მოუწოდებს ამერიკის მუშებს მხარი დაუჭირონ გერმანიის მუშებს, რომლებიც იბრძვიან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით (ადს).

### უნდობლობის ვოტუმი ჰიტლერის მთავრობას

ბერლინი, 31 იანვ. რეიხსტაგის კომფრაქციამ დღეს შეიტანა წინადადება, როგორც ჰიტლერის კაბინეტისათვის, ისე ცალკე თვითეულ მინისტრისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შესახებ (ადს).

...დებს, გაზეთი შენიშნავს, რომ მისი ხანგრძლივი დედა - აზრი მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან აიცილოს კაპიტალის გაქცევა გერმანიიდან. არ უნდა დაგვავიწყდეს, —განაგრძობს გაზეთი. — რომ სწორედ 31 იანვარს ბერლინში იხსნება ... უცხოეთის კერძო ვალების საკითხზე ლაპარაკია იმაზე, — წერს შემდეგ „ევრო", — რომ არ დააშინონ ყოფილი, ეხლანდელი და მომავალი კრედიტორები. „ევრ"-ის აზრით, ჰიტლერის კაბინეტის მდგომარეობა უფრო მტკიცეა, ვიდრე მისი წინამოადგილეების მდგომარეობა: ფონ პაპენის და შლეიხერის. არ შეიძლება, — სწერს გაზეთი, — ანგარიში არ გაუწიო იმ ადამიანს, რომელიც ემყარება 400 ათასი კაცისაგან შემდგარ არმიას.

...პუბლიკური პრესა გოგიერთ ... რესტავრაციის შესაძლებლობაში".

საგარეო წრეების ორგანო „ჟორნალ დე კომერსი" აღნიშნავს, რომ ჰიტლერის დანიშვნა ჰქმნის ერთგვარ გაურკვევლობას, თუ როგორ განვითარდება გერმანიის საგარეო პოლიტიკა. გაზეთს საიმედოდ მიაჩნია ფონ-ნეირატის დატოვება საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე და ჰიტლერის დეკლარაცია რომ იგი შეასრულებს ვალდებულებებს საგარეო ვალების საკითხში. გაზეთს აგრეთვე შესაძლებლად მიაჩნია, რომ ნაციონალ სოციალისტები შეცვლიან თავის პოზიციას და დაამყარებენ ისეთ რეჟიმს, როგორიც დამყარებული იყო ფონ შლეიხერის მიერ. (ადს).

## „ნახტომი გაურკვეველი მიმართულებით"

ბერლინი, 31 იანვარი. უდიდესი საშუალო გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგ" ... რით: „ნახტომი გაურკვეველ მიმართულებით", გადმოგვცემს დასავლეთ გერმანიის ...

...პროგრამის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისი სოციალური უნდა დააწყნარს კომუნალურ ... რი წინააღმდეგობანი, რომლებსაც დღემდე ადგილი ჰქონდა მეურნეობის და სახელ...

...კითხს. „ჩვენ არ ვფიქრობთ, — სწერს გაზეთი, — რომ ფოსტის და ტელეგრაფის მინისტრის პოსტი, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალია, და ეთმობა ცენტრის პარტიას. ჩვენ არ გვინდა, რომ ახალი კაბინეტი ...

# ამერიკის გამოჩენილი მოღვაწეები

## მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

### პროფესორების და პედაგოგების პეტიცია რუზველტს

ნიუ-იორკი. 31 იანვარი 800 პროფესორმა, მეცნიერებმა და კოლეჯების პრეზიდენტებმა, რომლებიც წარმოადგენენ 268 კოლეჯსა და უნივერსიტეტს 45 შტატში, პეტიციით მიმართეს რუზველტს. რომელშიაც დაჟინებით მოითხოვენ შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას. „ამას, —ნათქვამია პეტიციაში, —სასწრაფოდ მოითხოვს საერთაშორისო მშვიდობიანობის და ორივე ქვეყნის ურთიერთ ეკონომიური დამოკიდებულების ინტერესები" პეტიციაზე ხელის მომწერთა შორის არიან შეერთებული შტატების უდიდესი პედაგოგები და ეკონომისტები, როგორც მაგალითად ბეიკლ უონი—ეპისკოპოსის რომენტალური კოლეჯის მმართველი ვისკონსინის უნივერსიტეტთან, ნეილსონი — სმიტის კოლეჯის თავმჯდომარე მასაჩუზეტში, კომჯონსი — ვისკონსინის უნივერსიტეტის ეკონომიური მეცნიერებათა პროფესორი უდლინი — საერთაშორისო სამართლის პროფესორი გარვარდის უნივერსიტეტში — ერთი ლიგის იურიდიული განყოფილების ყოფილი წევრი, დუეი — ფილოსოფიის პროფესორი კოლუმბიის უნივერსიტეტში და სხვ. პეტიცია გადაცემული იქნა რელიგიურ პაციფისტური ორგანიზაციის — „მეგობრობა საზოგადოების" ინიციატივით. ამ ორგანიზაციის მეთაურმა, პროფესორ ხეიცრმა პეტიციაზე ხელის მომწერთა სიის გამოქვეყნების დროს განაცხადა:

„საზოგადოება" ფიქრობს, რომ ამერიკის მიერ საბჭოთა მთავრობის არ ცნობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო სერიოზულ საშიშროებას მშვიდობიანობისათვის, მის ეხლანდელ კრიტიკულ მდგომარეობაში. „საზოგადოება" ფიქრობს, რომ მისი პეტიცია გამოიწვევს ცნობის სასარგებლოდ განწყობილების გაძლიერების ამერიკაში, რაც თავის მხრივ გაძლიერებს მთავრობასა და კონგრესს მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის კამპანიის გაძლიერება იწვევს კონტრ-შეტევას ცნობის მოწინააღმდეგეთა მიერ. ამას წინედ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ანტისაბ-ჭოთა მოღვაწემ, რეაქციონერ „ნაციონალურ სამოქალაქო ფედერაციის" მდივანმა იზლი აწარმოებდა გააფთრებულ აგიტაციას ცნობის წინააღმდეგ.

ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია ინარჩუნებს თავის პოზიციას და წინანდებურად გაილაშქრებს საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ.

დასასრულ გრინი აცხადებს, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია „მოუწოდებს თავის მეგობრებს კონგრესში სასტიკად წინააღუდგენ საბჭოთა კავშირის ცნობის განხორციელების ყოველგვარ ცდებს".

გრინის განცხადება ცხადყოფს ანტისაბჭოთა მოღვაწეების — იზლის, უოლლის, ფიშის და კომპანიის განზრახვას გააძლიერონ კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ ამერიკის შრომის ფედერაციის ყველაზე უფრო რეაქციონერ ელემენტებთან, თეთრგვარდიელებთან, კათოლიკურ სამღვდელოებასთან და სხვ. თანამშრომლობის გზით. გრინი, რომელიც აცხადებს, რომ ის გამოდის „მუშების" სახელით, სინამდვილეში წარმოადგენს ფედერაციის მხოლოდ ჩინოვნიკურ ზედაფენას. რომელიც ეწინააღმდეგება ცნობა და აწარმოებს ბრძოლას იმ რევოლუციურ ელემენტებთან ფედერაციის შიგნით, რომლებიც საბჭოთა კავშირის ცნობას უკავშირებს ოპოზიციას ... გრინის წინააღმდეგ.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ფედერაციის მსხვილმა კავშირებმა სამ-ერთო მრეწველობის კავშირმა — „ინტერნეშენელ ლედისგარმენტ უორკერს"-მა და ფეიქართა კავშირმა — „იუნაიტედ ტექსტილ უორკერს"-მა — გამოთქვა აზრი ცნობის სასარგებლოდ.

ცნობის სასარგებლო აზრი გამოსთქვა აგრეთვე ამასწინად მეზღვაურთა კომისრების კავშირმა, რომელიც ფედერაციას ეკუთვნის. ყველაზე უფრო აქტიური პროფორგანიზაციები ფედერაციის გარეშე აგრეთვე მხარს უჭერენ ცნობას. კერძოდ ცნობის შესახებ მოთხოვნით გამოვიდა რევოლუციური კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობდა გაფიცვას დეტროიტის ავტომობილთა, ძარების დამამზადებელ ქარხნებში (ადს).

# კანტონი იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ

შანხაი, 1 თებერვალი. კანტონის მთავრობამ გამოაქვეყნა მის მიერ ნანკინის მთავრობისადმი გაგზავნილი დეპეშა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის საკითხზე. დეპეშაში მოთხოვნილია შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიოს იაპონიის აგრესიას და ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის კანტონის მთავრობა აღუთქვამს დახმარებას ნანკინს. კანტონის მთავრობა წინადადებას იძლევა გამო... იქნას კანტონის მე-19 არმია ჩრდილოეთის ფრონტზე და იღებს თავის-თავზე ვალდებულებას დაფაროს ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯები (ადს).

# სოციალ-ფაშისტები და საფრანგეთის ახალი მთავრობა

პარიზი, 1 თებერვალი. დალადიემ გუშინ წინადადება მისცა სოციალისტებს მიიღონ მონაწილეობა ახალ მთავრობაში და ჩაიბარონ 5 პორთფელი, მათ შორის ბიუჯეტის მინისტრის და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პორთფელები. დალადიეს კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა სოციალისტებთან მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, ნათქვამია:

„დალადიემ იმ რეზოლიუციის შესახებ, ...

...ლებმაც მიიღეს რეზოლუცია, სრულებითაც არ მოითხოვდა ვალდებულებას სოციალისტური ყრილობის პროგრამის სრული შინაარსისა და ყოველი სიტყვის მიმართ, არამედ მხოლოდ სურდა, რომ მთავრობას გაეზიარებია მისი მთავარი მიმართულება".

მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ სოციალისტებმა გამოაქვეყნეს თავიანთი დეკლა-...

# გარე-კახეთის რაიონში სარემონტო კამპანიას სუსტად ხელმძღვანელობენ

## სათადარიგო ნაწილების დაკვეთები მაღაზე უნდა შესრულდეს

### სათადარიგო ნაწილების დამზადებას ჩაშლა მოელის

საქ. სამ. მანქანა-იარაღების შეკეთების წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს სათადარიგო ნაწილების დამზადება ...

...საქ. ტრაქტორცენტრმა დაკვეთა მისცა კალინინის სახ. ქარხანას — 75.000 მანეთის ოდენობაზე. თუ რამდენად შესრულდა ეს დაკვეთა — საქ. მიწსახკომს ცნობა არ აქვს.

საქ. ტრაქტორცენტრს ნაწილების დამზადებაზე დაკვეთა ქონდა მიცემული თავის სახელოსნოსათვის 37693 მანეთის რაოდენობაზე. თუ როგორ შესრულდა სახელოსნომ ეს დავალება, —ამის შესახებ საქ. ტრაქტორცენტრი მიწსახკომს ატყობინებს (ცნობა შეეხება დეკემბრის ბოლო რიცხვებს): „ჩვენმა სახელოსნომ დაკვეთა უწესრიგობრივად შეასრულა. მხოლოდ რამდენი პროცენტით — ეს გამოურკვეველია"-ო. საქ. მიწსახკომის მექანიზაციის სექტორი ამით დაკმაყოფილდა.

საჭირო იყო ჯერ კიდევ გასული წლის უკანასკნელ თვეებში ტრაქტორების ნა-...

...დებს 35.150 მანეთის ღირებულების ნაწილებს, იმ პირობით, თუ მას „საქსოფმარემონტი" უზრუნველყოფს მასალით (ბრინჯაოთი, რკინით და სხვ.).

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა ორი თვის განმავლობაში უნდა დაამზადოს 17.745 მან. ღირებულების ტრაქტორების ნაწილები.

ამ რიგად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ტრაქტორების და სხვა მანქანების ნაწილების დამზადება რეალური საფრთხის წინაშეა. ის გამოწვეულია იმით, რომ დაკვეთა ქარხნებს ძალზე დაგვიანებით მისცეს.

აი რას სწერს „საქსოფმარაგრემონტის" მმართველი საქ. მიწსახკომს თავის მოხსენების ბარათში: ჩვენი დაკვეთების მიცემის ერთგვარი დაგვიანება გამოწვეულია იმ მდგომარეობით, რომ არ იყო გარკვეული მითითება: თუ ვის ევალებოდა დაკვეთების მიცემა, „საქსოფმარაგრემონტს", რომელიც ამ ახლო ხანში მოეწყო, თუ ...ამ.-კავ. სოფმარაგრემონტს".

კალინინის, ორჯონიკიძის სახ. ქარხნებმა და სტალინის სახ. ავტ. სახელოსნოს ადმინისტრაციამ. თავიანთი ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციონ სათადარიგო ნაწილების დამზადება და მთელი საშუალებების მობილიზაციით. დაწესებულ ვადაში შეასრულონ დაკვეთა.

ქ. მ.

...გენს. შეკეთების მიმდინარეობის ეს ტემპები აშკარა არა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

საერთო რაოდენობიდან გამოშვებულია: კაპიტალურ შეკეთებიდან 83 ტრაქტორი (გეგმის 45,8 პროც.), საშუალოდან—115 ტრაქტორი (71,4 პროც.) და მიმდინარე შეკეთებიდან 54 (გეგმის 40,3 პროც.).

ცალკე სამ. სატრ. სადგურების მიხედვით სულ შეკეთებულია:

| სადგურები | ტრაქტორები | გეგმის შესრულება 0/0/0 |
|---|---|---|
| აბაშის | 24 | 75,0 |
| აგარის | 14 | 58,9 |
| ახალქალაქი | 18 | 81,8 |
| ბათომის | 2 | 20,0 |
| ბორჩალოს | 16 | 50,0 |
| გალის | 11 | 29,7 |
| გურჯაანის | | 120,0 |
| გორი | 20 | 90,5 |
| ზუგდიდის | 9 | 53,0 |
| ყარაიას | 11 | 61,1 |
| კასპის | 4 | 80,0 |
| ლაგოდეხის | 18 | 77,0 |
| ლანჩხუთის | 22 | 95.6 |
| მარტვილის | 2 | 200,0 |
| მუხიანის | 7 | 25,9 |
| ოზურგეთის | 5 | 25,5 |
| ოჩემჩირის | 11 | 2 ,4 |
| საგარეჯოს | 8 | 13.0 |
| სამტრედიის | 4 | 50,0 |
| სენაკის | 12 | 44.4 |
| ხობის | 8 | 100.0 |
| ხონის | 1 | 25.0 |
| წალენჯიხის | 1 | 25,0 |
| წნორის | 26 | 72,2 |

ამ რიგად, ტრაქტორების შეკეთებაში სამარცხვინოთ ჩამორჩენ გალის, მუხიანის, ოჩემჩირის, საგარეჯოს, ხობის და წალენჯიხის სამ. სატრაქტორო სადგურები. შეკეთების გეგმა მთლიანად შეასრულა ხონის სამ. სატ. სადგურებმა. ხოლო გურჯაანის სამ. სატ. სადგურმა—120 პროცენტით და მარტვილის—200 პროცენტით.

### არ არის გეგმა, არ არის ხელმძღვანელობა

(გარე-კახეთი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

...მიუხედავად იმისა, რომ საქ. მიწსახკომის დადგენილებით, გარე-კახეთის რაიონის მანქანა-იარაღების შეკეთების დამთავრების უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1 მარტი- კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ჯერ კიდევ არ შეუდგომიან ამ მხრივ მასიურ მუშაობას.

ამჟამად რაიონში შესაკეთებელია სულ 43 ტრაქტორი, აქედან კაპიტალურ რემონტს მოითხოვს 18 ტრაქტორი, ხოლო საშუალო რემონტს 25. შესაკეთებელია აგრეთვე ტრაქტორის გუთნები—26, ცხენის გუთნები—392, ფარცხი—21, სათესი მანქა-...

...მოეპოვებათ სარემონტო კამპანიის მთლიანი გეგმა.

გიორგიწმინდის სასოფლო საბჭოს დღემდე არც ერთხელ არ დაუსვამს მანქანა-იარაღების რემონტის საკითხი ...

15 თებერვლიდან რაიონში უნდა დაიწყოს მასიური ხვნა. საჭიროა მუშაობის იმ გაძლიერება, რომ აღნიშნულ ვადისათვის დამთავრდეს სას.-სამ. მანქანა-იარაღების განსაკუთრებით ტრაქტორები, ხისა და რკინის გუთნები. სახნისები და სხვათა შეკეთება.

ტ. აცანელი.

### სამარცხვინო მაჩვენებლები

საქართველოში მანქანა-იარაღების სარემონტო კამპანია არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაც გარკვეულ საფრთხის წინაშე აყენებს საგაზაფხულო თესვის თავის დროზე დაწყებას.—ეს, რომ ასეა - ამას მოწმობს საქ. მიწსახკომისა ცნობა 25 იანვრისათვის.

აღნიშნულ რიცხვისათვის ტრაქტორები შეკეთებული იყო: სამ. სატრაქტორო სადგურებში გეგმის —51.6 ...

...ში შეკეთებული იყო მთელი შესაკეთებელი რაოდენობის მხოლოდ 11,2 პროც.

ცხენის გუთნები იმავე 25 იანვრისათვის შეკეთებული იყო: საბჭოთა მეურნეობებში გეგმის 15,2 პროცენტი, ხოლო გლეხურ სექტორში—8,8 პროცენტი.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს ...

# სარემონტო სახელოსნოს დირექცია უპასუხისმგებლობას იჩენს

(დუშეთის რაიონი)

სდუილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებით, დუშეთის რაიონის მანქანა - იარაღების შემკეთებელ სახელოსნოს. 25 იანვარს სოფლებში უნდა დაეგზავნა სამი ბრიგადა დაზიანებულ იარაღ - მან-...

...ნაწილებით და არ დაუგზავნია ადგილებზე.

იარაღ - მანქანების შეკეთების გეგმა დუშეთის რაიონში ჩაშლის საფრთხეშია. საჭიროა მწვავედ დავარტყათ ოპორტუნისტულ თვითმდინარეობას ...

### „კომუნისტი"-ს რიგიდან

### ტრაქტორების მიღება

...

# საბჭოთა კავშირში

### შავ ტეხ. სასწავლებლების საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

მოსკოვი. 31 იანვარი. საკ. ... არსებულმა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ...

...ნაშულია შავი ზღვის სანაპიროების მთელი რიგი წვრილი ნავთსადგურები: ანაპა, გელენჯიკი და სხვ. რეორგანიზაცია ხელს შეუწყობს ნავთსადგურების მუშაობის და ...

# ამხ. იაკოვლევის მოხსენება ს. ს. რ. კ. მე-6 მოწვევის ცაკის მესამე სესიაზე

## I. კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკის და კოლექტივიზაციის შედეგები

ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა საკ. კ. პ. (ბ) ცკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე, მის სიტყვაში სოფლად მუშაობის შესახებ და ცკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებში ამომწურავად არის შეჯამებული ის, რასაც მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების შედეგად, კოლექტივიზაციის შედეგად და კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკის გატარების შედეგად.

ძირითადი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ „ეხლა საკითხი სდგას უკვე არა იმის შესახებ იარსებონ თუ არა კოლმეურნეობებმა. ეს საკითხი უკვე გადაჭრილია დადებითად. კოლმეურნეობები განმტკიცებული არიან და საბოლოოდ დაკეტილია გზა ძველ ერთპიროვნულ მეურნეობისაკენ" (ამხ. სტალინის მოხსენებიდან საკ. კ.პ. (ბ) ცკას და ცენტრ. საკ. კომისიის იანვრის პლენუმზე).

„კულაკობა განადგურებულია, კაპიტალიზმის გამოეთხარა ფესვები სოფლის მეურნეობაში და ამით უზრუნველყოფილია სოციალიზმის გამარჯვება სოფლად, ხოლო კოლექტიური მეურნეობა გადაიქცა სოციალისტური მშენებლობის მტკიცე დასაყრდენად". (საკ. კ. პ. (ბ) ცკას და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებიდან).

ყველა მთავარი უკვე ნათქვამი იყო, ამიტომ ნება მომეცით საკოლმეურნეო მოძრაობის შედეგებისა და კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკისადმი მიძღვნილი მოხსენების ნაწილი განვსაზღვრო მხოლოდ იმ ძირითადი ფაქტების ჩამოთვლით, რომლებიც ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამხ. სტალინის მიერ გაკეთებული ანალიზის და დასკვნების სისწორეს.

### I. კოლექტივიზაციის დონე

ამჟამად, როგორც ცნობილია კოლმეურნეობები აერთიანებენ 14,5 მილიონზე მეტ მეურნეობას იმ დროს, როცა 1928 წელს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 400 ათასი მეურნეობა.

კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ყველა ძირითად სასოფლო სამეურნეო რაიონებში. გადამწყვეტ რაიონებში კოლექტივიზაციის დონე ასეთია.

ჩრდილოეთ კავკასიაში კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 960 ათასი კომლი ან მხარის მეურნეობათა საერთო რიცხვის 70 პროცენტზე მეტი.

ქვემო ვოლგის მხარეში—3.100 ათასი კომლი ან 70 პროც., შუა ვოლგის მხარეში—930 ათასი კომლი ან 78 პროცენტი, ურალში—700 კომლი ან 63 პროც., ცენტრალურ შავმიწა ოლქში—1.300 ათასი კომლი ან 6? პროც., დასავლეთ ციმბირში—750 ათასი კომლი ან 63 პროც., ყირიმში—65 ათასი კომლი ან 80 პროცენტი.

მჭიდრო სამომხმარებლო ზოლში—კოლმეურნეობებში მტკიცედ გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის დაახლოებით 50 პროცენტი. მოსკოვის ოლქში—650 ათასი კომლი ან 55 პროცენტი, დასავლეთის ოლქში—530 ათასი კომლი ან 47 პროც., გორკის მხარეში—600 ათასი კომლი ან 45 პროც., ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში—330 ათასი კომლი ან რესპუბლიკის მეურნეობათა 43 პროცენტი.

### 2. კოლმეურნეობათა სათესი ფართობი

ფაქტების მეორე ჯგუფი ეხება სათეს ფართობებს კოლმეურნეობებში. როგორც ვიცით, სათესი ფართობი საბჭოთა კავშირში, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების განვითარების შედეგად, გაიზარდა 21 მილიონი ჰექტარით, 1928 წელთან შედარებით, და 30 მილიონი ჰექტარით ომის წინა დროსთან შედარებით.

### 3. კოლექტიურ მეურნეობათა შრომის ნაყოფიერება

### 4. სახელმწიფოს დახმარება კოლმეურნეობებისადმი მაღალი ტეხნიკის შეიარაღების საქმეში

კოლმეურნეობები გადაიქცენ სახაქონლო პროდუქციის მთავარ მწარმოებლებად ჩვენს ქვეყანაში. ამას ჩვენ მივაღწიეთ, ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდა ორგანიზაციები, მსხვილი მეურნეობის უპირატესობის და სამანქანო სატრაქტორო სადგურების მშენებლობის ხაზით სახელმწიფოს დახმარების მეოხებით.



თავის ბაზაზე უკვე დაყრდნობით, რომელთა საშუალებით ხელი უჭირავს დაახლოებით 200 ათას კოლმეურნე - ტრაქტორისტ, ორი ათასზე მეტი კომბაინი, რამდენიმე ათასი სხვა გაუმჯობესებული მანქანები — ძნის შემკვრელი მანქანები, სალეწი მანქანები, 7 ათასზე მეტი ავტომობილი და სხვა. სატრაქტორო პარკისათვის სამსახურის გასაწევად მოეწყო კაპიტალური რემონტის 685 სახელოსნო, რომლებშიაც დადგმულია 8 ათასზე მეტი სახურდავი და სახარატო დაზგა. კოლექტიური მეურნეობა ასწავლის კოლმეურნეებს ახალი მანქანების მართვას—8 ათასზე მეტი აგრონომი, 8 ათასზე მეტი მექანიკოსი და სხვ.

უკვე 1932 წელს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები სამსახურს უწევდენ კოლმეურნეობათა მთელი ნათესი ფართობის, თითქმის ნახევარს.

წელს ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის და ძველი სადგურების სატრაქტორო პარკის გადიდების მეოხებით, სახელმწიფოს დახმარება კოლმეურნეობებისადმი კიდევ უფრო დიდი იქნება.

ასეთია ტეხნიკური ბაზა, რომლითაც შეაიარაღა კოლმეურნეობები საბჭოთა სახელმწიფომ 1932 წლის ბოლოსათვის, და ამიტომ შესძლეს კოლმეურნეობებმა იმ მიწების გარდა, რომლებსაც ისინი წინად სთესავდენ, იმ მიწების ათვისებაც, რომლებსაც წინად სთესავდენ კულაკები, იმ მიწე-...

### 5. შექმნილია განსაზოგადოებული მეცხოველეობის ბაზა

დაბოლოს, ამხანაგებო, უკანასკნელი ჯგუფი ფაქტებისა, რომლებიც ეკუთვნის მეცხოველეობის დარგს. თქვენ ყველამ იცით, რომ სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგი ჯერ-ჯერობით ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დანარჩენ დარგებს. თქვენ ყველამ იცით, თუ როგორი დიდი ზიანი მიაყენა მეცხოველეობის საქმეს კულაკობამ, რომელმაც გაანადგურა პირუტყვი, და მრავალი კოლმეურნის შეუგნებლობამ, რომლებიც წამოეგენ კულაკობის ანკესზე და კოლმეურნეობაში შესვლის დროს ლიკვიდაცია უყვეს თავისი პირუტყვის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამავე წლების განმავლობაში კოლმეურნეობებში შეიქმნა ახალი ბაზა მეცხოველეობის აღსადგენად.

## II. კოლმეურნეობებში კულაკობის ნაშთებთან ბრძოლის ამოცანების შესახებ

მე ეხლა გადავდივარ იმაზე, რომ კოლმეურნეობათა უმრავლესობას ჯერ კიდევ უჭირს ხელს მთლიანად გამოიყენონ უპირატესობანი, რომლებიც შთანერგილია წარმოების საკოლმეურნეო სისტემაში, იმაზე, თუ რა სიძნელეებს ხვდებიან თავის გზაზე კოლმეურნეობები...

# III. შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ კოლმეურნეობებში

გადავდივარ შემდეგ საკითხზე—შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე კოლმეურნეობებში. ეს ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. თვითეულმა თქვენგანმა, ალბად, იცის და დაეთანხმება იმას, რომ მსხვილი წარმოების თვითონ ტეხნიკა მოითხოვს ხისტიკი დისციპლინის დაცვას შრომაში. მსხვილ მეურნეობას არსებობა შეუძლია მხოლოდ დისციპლინის დაცვის პირობებში, რადგან ის დამყარებულია მრავალი ადამიანების და მანქანების მუშაობის შეერთებაზე. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ინდივიდუალური გლეხი მუშაობს მკაზე. მას რაიმე მიზეზის გამო გაუჩერდა სამკალი მანქანა—ცხადია ამ დროს არ მუშაობს ის, შეიძლება მისი ცოლი ან და კიდევ ვინმე მისი ოჯახიდან.

სხვა მდგომარეობაა კოლმეურნეობაში: შიდია საბრიგადო რგოლი—სამი სამკალი მანქანა. ერთად მუშაობს ხალხი სამკალ მანქანებზე კუთხეების შემოსავრილად ძნების ასაკრებად, გადასაზიდათ, თუ შეჩერდა ერთი ან ორი სამკალი მანქანა, შეჩერდება ერთი და ორი კაცი კი არა, როგორც ეს მოხდებოდა ინდივიდუალურ მეურნეობაში, არამედ მთელი ჯგუფი 10—15 კაცის შემადგენლობით, თუ მეტი არა. წარმოიდგინეთ რომელიმე სატრაქტორო ბრიგადა: ყოველგვარი შეჩერება მუშაობაში, ყოველგვარი შეფერხება ტრაქტორების მუშაობაში ნიშნავს იმას, რომ დგანან არა მარტო ტრაქტორები, რადგან ტრაქტორების მუშაობასთან დაკავშირებულია ცხენების ბრიგადების მუშაობა, რომლებიც აწარმოებენ ფარცხვას და თესვას. ეს მსხვილი წარმოების თავისებურობაა.

მსხვილი წარმოების თვითტეხნიკა დამყარებულია სხვადასხვა სამუშაოების ურთიერთ დაკავშირებულ ორგანიზაციაზე. ამაში ნათლად დარწმუნდნენ ჩვენი ჭკუის კოლმეურნე გლეხები, როდესაც ისინი ინდივიდუალური მეურნეობიდან გადავიდნენ მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობაზე. თავისთავად ცხადია, რომ ...

ჩვენ ეხლა გვიხდება განსაკუთრებულ სიძლიერით ითქვას, რომ კოლმეურნეობებში ჩვენ გვყავს ბევრი ისეთი ხალხი, რომლებიც კოლმეურნეობებს, უწინარეს ყოვლისა, უყურებენ ასეთი თვალსაზრისით: „რაკი მე შევედი კოლმეურნეობაში, მაშასადამე, მე უნდა ვიმუშაო რაც შეიძლება ნაკლები, ჩემმა მეზობელმა კი და იმუშაოს უფრო მეტი, ხოლო მე უნდა წავიღო და მივიღო უფრო მეტი, ჩემმა მეზობელმა კი უფრო ნაკლები" (ხმები: „სწორია".). ასეთი ხალხი ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება თვითეულ კოლმეურნეობაში. ამ ადამიანების ასეთი ფსიქოლოგია, რომლებმაც კოლმეურნეობებში შესვლის შემდეგაც ჯერ კიდევ შეინარჩუნეს ბევრი ძველი მესაკუთრული ჩვეულება, ჯერ კიდევ არა ერთხელ გაგვიფუჭებს საქმეს კოლმეურნეობებში და აი რატომ: ასეთ ხალხს ურთიერთებიან კულაკური ნამსხვრევები, რომლებიც აღვივებენ ამ ძველ მესაკუთრულ ინსტინქტებს, რამდენადაც ამას ურთიერთებიან სხვადასხვა არამზადები, ჩვენ მიერ განადგურებული კლასის ნაშთები, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კოლმეურნეობაში არ შეიძლება იყოს წესრიგი. რომ კოლმეურნეობა—ეს არის უწესრიგობა. მაშინ ჩვენ უნდა მოვიგონოთ, თუ ... ხელმძღვანელობრ როგორი ზომების მიღებას ურჩევდა ამხ. ლენინი გაერთიანებული შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

ამხ. ლენინი გვირჩევდა შემდეგს. ასე ამბობდა:

მდიდრების, არამზადების და მუქთახორების პრაქტიკული აღრიცხვის და კონტროლის რამდენიმე ათასი ფორმა და ხერხი უნდა შეიმუშაონ და გამოსცადონ პრაქტიკულად თვით კომუნებმა, წვრილ უჯრედებმა სოფლად და ქალაქად. მრავალფეროვანება აქ წარმოადგენს სიცოცხლის უნარის საწინდარს, წარმატების საწინდარს საერთო მთლიანი მიზნის მიღწევაში: რუსეთის მიწის გაწმენდა ყოველგვარი საძაგელი მწერებისაგან, ...

...

# IV. შრომა-დღეების შესახებ

...

# V. მოსავლიანობის გადიდების ხუთი ბერკეტი

ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წარმატება ან მარცხი საბოლოო ანგარიშით გავლენას ახდენს, პირველ ყოვლისა, მოსავალზე. მოსავალი ჯამს უკეთებს მიწის დამუშავებას და ნათესის ხარისხს, თესლის ხარისხს, დისციპლინის, ხელმძღვანელ კადრების კლასობრივ სიფხიზლეს.

რა მდგომარეობაა აქ? თქვენ იცით, რომ ჩვენი სათესი ფართობი, ომის წინა დროინდელ დონესთან შედარებით 30 ...

ამგვარად, 30 მილიონი ჰექტარი ხაკოლმეურნეო ნათესის ორგანიზაცია აღმოჩნდა არა უბრალო საქმე, არამედ ისეთი საქმე, რომელიც დაკავშირებულია ძველი მიწათსარგებლობის სრულ შეცვლასთან, კულტურების როგორიგობით თესვის ძველი წესის მოსპობასთან და ...

...

# I. თესლბრუნვის შესახებ

პირველი საკითხია თესლბრუნვის საკითხი. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ამჟამად თავდება ყველა ძირითად მხარეებსა და ...

...

ავიღოთ კოლმეურნეობა „კრასნი პახარ" მოსკოვის ოლქი. მან თესლბრუნვა შემოიღო 1931 წელს. მოსავალი მიიღო 30 პროცენტით მეტი საშუალო რაიონულზე. იმავე მოსკოვის ოლქში კოლმეურნეობამ „ბელნიაკ", რომელიც 1931 წელს ჩამოყალიბდა, დაიწყო შვიდმინდვრიანი თესლბრუნვა. მოსავალი მიიღო საშუალო რაიო...

(გაგრძელება. იხ. მე-4 გვერდზე)

